

დადგენილება

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-80 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 01/01/2017; ს/კ 019002020.35.114.016325), შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14 და მე-15 მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა:

მ.გოგოლაძე

თავი I

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2016 წლის იანვარ-ოქტომბერი			2017 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	11 076,1	12 927,6	7111,8	5815,8	9468,6	4548,7	4919,9	5 694,1
გადასახადები	389,0	1 075,0	0,0	1075,0	918,7	0,0	918,7	1 100,0
გრანტები	8 610,6	9 819,2	7111,8	2707,4	7158,5	4548,7	2609,8	2 650,4
სხვა შემოსავლები	2 076,5	2 033,4	0,0	2033,4	1391,4	0,0	1391,4	1 943,7
ხარჯები	5 895,6	10 491,0	3860,9	6630,1	6433,1	1541,4	4891,7	6596,8
შრომის ანაზღაურება	1 550,3	1 526,4	84,6	1441,8	1295,0	71,9	1223,1	1588,4
საქონელი და მომსახურება	663,5	1 495,1	34,3	1460,8	572,8	29,6	543,2	772,6
სუბსიდიები	2 724,1	3 028,6	64,2	2964,4	2763,5	175,7	2587,8	2 925,0
გრანტები	197,0	111,9	0,0	111,9	79,0	79,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	462,3	582,9	21,2	561,7	545,5	14,8	530,7	510,0
სხვა ხარჯი	298,3	3 746,1	3656,6	89,5	1177,3	1170,4	6,9	800,8
საოპერაციო საღდო	5180,5	2 436,6	3250,9	-814,3	3035,5	3007,3	28,2	-902,7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 867,6	3 157,2	3118,6	38,6	3502,7	3548,2	-45,6	-42,1
ზრდა	5 069,0	3 458,2	3118,6	339,6	3736,5	3548,2	188,3	47,9
კლება	201,4	301,0	0,0	301,0	233,8	0,0	233,9	90,0
მოლიანი საღდო	312,9	-720,6	132,3	-852,9	467,2	-540,9	73,8	-860,6
ფინანსური აქტივების ცვლილება	305,1	727,6	126,7	854,1	467,2	-540,9	73,8	-862,1
ზრდა	305,1	0,0	0,0	0,0	-467,2	0,0	-467,0	0,0
კლება	0,0	727,6	126,7	854,1	0,0	0,0	00	862,1

ვალუტა და დეპოზიტი	379,9	727,6	126,7	854,1	0,0	0,0	0,0	862,1
ვალდებულებების ცვლილება	7,7	-7,0	-7,6	0,0	0,0	0,0	0,0	-1,5
კლება	7,7	7,0	5,8	1,2	0,0	0,0	0,0	1,5
საშინაო	7,7	7,0	5,8	1,2	0,0	0,0	0,0	1,5
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2016 წლის იანვარ-ოქტომბერი			2017 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები	11 277,5	13 228,6	7111,8	6116,8	9702,4	4548,7	5153,7	5 784,1
შემოსავლები	11076,2	12 927,6	7111,8	5815,8	9469,7	4548,7	4919,9	5 694,1
არაფინანსური აქტივების კლება	201,4	301,0	0,0	301,0	233,8	0,0	233,8	90,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	10964,6	13 956,2	6985,3	6970,9	10169,6	4963,5	5206,1	6646,2
ხარჯები	5895,6	10 491,0	3860,9	6630,1	6433,1	1415,3	5017,8	6596,8
არაფინანსური აქტივების ზრდა	5069,0	3 458,2	3118,6	339,6	3736,5	3548,2	188,3	47,9
ვალდებულებების კლება		7,0	5,8	1,2				1,5
ნაშთის ცვლილება	312,9	-727,6	126,7	-854,1	-467,2	-414,8	-52,4	-862,1

მუხლი 3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 5 694,1ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2016 წლის იანვარ -ოქტომბერი			2017 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსავლები	11 076,1	1 2927,6	7111,8	5815,8	9468,6	4548,7	4919,9	5 694,1
გადასახადები	389,0	1 075,0	0,0	1075,0	918,7	0,0	918,7	1 100,0
გრანტები	8610,6	9 819,2	7111,8	2707,4	7158,5	4548,7	2609,8	2 650,4
სხვა შემოსავლები	2076,5	2 033,4	0,0	2 033,4	1391,4	0,0	1391,4	1 943,7

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2016 წლის იანვარ -ოქტომბერი			2017 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
გადასახადები	389,0	1 075,0	0,0	1 075,0	918,7		918,7	1 100,0
საშემოსავლო გადასახადი		460,0		460,0	353,1		353,1	450,0
ქონების გადასახადი	389,0	615,0	0,0	615,0	565,6		565,6	650,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	279,4	540,0		540,0	554,6		554,6	580,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულები ს მიწაზე	3,5	15,0	0,0	15,0	0,4		0,4	10,0
ფიზიკურ პირებიდან	3,5	15,0		15,0	0,4		0,4	10,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულები ს მიწაზე	106,1	60,0	0,0	60,0	10,6		10,6	60,0
ფიზიკურ პირებიდან	106,1	60,0		60,0	10,6		7,8	60,0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები **2 650,4** ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2016 წლის იანვარ -ოქტომბერი			2017 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
გრანტები	8 627,5	9 819,2	7111,8	2707,4	7158,5	4548,7	2609,8	2650,4
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	8627,5	9 819,2	7111,8	2707,4	7158,5	4548,7	2609,8	2650,4
გათანაბრებითი ტრანსფერი	3130,4	2 707,4		2 707,4	2609,8	0,0	2609,8	2467,4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	183,0	183,0	183,0	0,0	153,0	153,0	0,0	183,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5314,1	6 928,8	6 928,8	0,0	4395,7	4395,7	0,0	0,0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **1 943,7** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2016 წლის იანვარ -ოქტომბერი			2017 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
სხვა შემოსავლები	2076,5	2 033,4		2 033,4	1391,4		1391,4	1 943,7
შემოსავლები საკუთრებიდან	2076,5	1 909,2		1 909,2	1168,0		1168,0	1 846,1
პროცენტები	42,1	32,0		32,0	4,7		4,7	5,0
დივიდენდები		20,0		20,0				20,0
რენტა	1462,0	1857,2		1 853,2	1163,3		1163,3	1 821,1
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	1460,0	1 853,2		1 853,2	1161,8		1161,8	1 817,1
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავენობა და სხვა) გადაცემიდან	2,0	4,0		4,0	1,5		1,5	4,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	37,1	22,2		22,2	17,4		17,4	22,6
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	37,1	22,2		22,2	17,4		17,4	22,2
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,1	0,2		0,2				0,2
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	7,5	7,0		7,0	5,9		5,9	7,4
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი (მშენებლობის ნებართვა)	29,0	15,0		15,0	11,5		11,5	15,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	110,9	70,0		70,0	64,2		64,2	75,0
საგზაო მოძრაობის წესების დადღვევისათვის	71,4	38,5		38,5	35,0		35,0	35,0

არქიტექტურულ სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევებისათვის	1,5	1,5	1,5	1,2	1,2	5,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებულ ი შემოსავლები ჯარიმებიდან	38,0	30,0	30,0	28,0	28,0	35,0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები **6 596,8** ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა			2016 წლის იანვარ -ოქტომბერი			2017 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
ხარჯები	5895,6	10 491,0	3860,9	6630,1	6433,1	1541,4	4894,7	6 596,8
შრომის ანაზღაურება	1550,3	1 526,4	84,6	1441,8	1295,0	71,9	1223,1	1588,4
საქონელი და მომსახურება	663,5	1 495,1	34,3	1460,8	572,8	29,6	543,2	772,6
სუბსიდიები	2724,1	3 028,6	64,2	2964,4	2763,5	175,7	2587,8	2 925,0
გრანტები	197,0	111,9	0,0	111,9	79,0	79,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	462,3	582,9	21,2	561,7	545,5	14,8	530,7	510,0
სხვა ხარჯები	298,3	3 746,1	3656,6	89,5	1177,3	1170,4	6,9	800,8

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **-42,1** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **47,9** ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
------	------------	-----------------	-----------------	-----------------

01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	70,5	27,7	22,9
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	7,5	4,0	0,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4991,0	3352,5	25,0
04 00	განათლება	0,0	69,0	0,0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	0,0	5,0	0,0
სულ ჯამი		5069,0	3 458,2	47,9

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 90,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2015 ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	201,4	301,0	90,0
ძირითადი აქტივები	78,4	231,0	50,0
შენობა ნაგებობები	78,4	231,0	50,0
არაწარმოებული აქტივები (მიწა)	123,0	70,0	40,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2075,2	2 101,8	2015,7

7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2075,2	2 101,8	2015,7
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2029,3	2 101,8	1965,7
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	45,9	100,0	50,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	0,0	0,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	0,0	0,0
702	თავდაცვა	114,1	117,8	102,0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	199,9	0,0	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	199,9	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	5264,0	7 901,2	995,0
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	1338,9	819,5	45,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1338,9	819,5	45,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	3925,1	7 081,7	950,0
705	გარემოს დაცვა	0,0	0,0	0,0
7051	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	0,0	0,0	0,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	532,0	506,5	475,0
7061	ბინათმშენებლობა	0,0	0,0	0,0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	532,0	417,5	400,0
7063	წყალმომარაგება		0,0	0,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0,0	0,0	75,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	84,7	89,0	86,5
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	84,7	89,0	86,5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1312,0	1 492,8	1355,5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	517,2	559,8	470,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	761,6	886,2	863,5
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0,0	0,0	0,0

7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	33,2	46,8	22,0
709	განათლება	829,2	1159,0	1106,5
7091	სკოლამდელი აღზრდა	718,5	1 026,7	941,5
7092	ზოგადი განათლება	16,2	37,3	75,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	94,5	95,0	90,0
710	სოციალური დაცვა	516,3	583,1	510,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	516,3	583,1	510,0
	სულ	10927,4	13 956,2	6646,2

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 860,6 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 50,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 12. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

- დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 183,0 ათასი ლარი მიიძღვრება:
 - ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 85,0 ათასი ლარი;
 - ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 85,0 ათასი ლარი;
 - გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათასი ლარი;
 - დ) „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 8,0 ათასი ლარი
- „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 13. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კულტურის სახლების მშენებლობა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდება ჭარბი თოვლის საფარისაგან განთავისუფლება. განხორციელდება დაბაში საგზაო მოძრაობის ნიშნების მოწესრიგება.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა შენახვა, დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება. მოხდება სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია.

1.2.1 კომუნალური სამსახური „სხივი“ (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, კომუნალური სამსახური „სხივი“ ახორციელებს მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას.

არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, დაბის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ხეების გადაბეღვა-ფორმირება, ზეხმელი და ავარიული ხეების მონიშვნა, შემდგომში მოჭრა-დამუშავება და გატანა.

1.2.2 ა(ა)იპ კურორტი „ბახმარო“ (პროგრამული კოდი 03 02 03)

დაწესებულების მიზანია კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობა, შემეცნებითი, გასართობი და სპორტული დანიშნულების ობიექტების შექმნა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, კომუნალური მომსახურების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება დამსვენებელთა მოზიდვა, მოსახლეობის გაჯანსაღების, დასვენების, სამედიცინო და კომუნალური მომსახურების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა. საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა. კურორტის ტერიტორიის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.საქუჩო განათების და წყალმომარაგების სისტემის მოვლა პატრონობის ხელშეწყობა, ინდივიდუალური სააგარაკო სახლების და სხვა ობიექტების მშენებლობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა

1.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

სადღესასწაულო დღეებისათვის დაბის ქუჩების გაფორმება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.

1.3.1 შენობების ტექნიკური პასპორტების და მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადების და საინფორმაციო საშუალებების გამოქვეყნების ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 01)

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების და მიწის ფართების რეალიზაციისათვის აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, ქვეპროგრამის ფარგლებშიც ხორციელდება სარეალიზაციო ობიექტების ტექნიკური პასპორტების და მიწის

ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება და საინფორმაციო სამუშაოებში გამოქვეყნება.

1.3.2 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 03)

მოხდება მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. განხორციელდება: დაბასა და ადმინისტრაციულ ერთეულში კეთილმოწყობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამონტაჟდება ვიდეოთვალები საგზაო მოძრაობის წესების რეგულირებისათვის. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.

1.4 სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლის მეურნეობის განვითარება, მ.შ. სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა. დადგინდება საკარანტინო მავნებლების გავრცელების არეალი და პერიოდები. ჩატარდება საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები. დაინტერესებული ფერმერები მოინახულებენ საქართველოში არსებულ თანამედროვე ტექნოლოგიებიტ აღჭურვილ მეურნეობებს. მოეწეობა აგროტურები. დაინტერესებული პირები გაგზავნილი იქნებიან გადამზადების კურსებზე. მოხდება მათი თანადაფინასება. მოწვეული სპეციალისტები ჩაატარებენ ლექცია სემინარებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

1.5 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში დასრულდება სხვადასხვა სამუშაოები.

1.6 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება(პროგრამული კოდი 03 06)

დასრულდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, ახალი ბაღების გახსნა.

მოხდება მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება.

2.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, უზრუნველყოფილი იქნება მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურება. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდება.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 710 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

2.2 განათლების სისტემის ხელშეწყობა(პროგრამული კოდი 04 02)

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებას და სხვა ღონისძიებების მოწყობას. მოხდება მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება

2.3 ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, მუსიკალური და ქორეოგრაფიული წრეები, განხორციელდება სხვადასხვა პროექტები, სადაც შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები და წარუდგინონ ფართო აუდიტორიას.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიერ ჩატარდება სხვადასხვა ღონისძიებები:

პროექტი „ჩემი სამყარო“

პროექტი „ხელნაკეთი წიგნები“

„მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია 70 წლისა“

პროექტი „მე ვეძებ ჩემი კუთხის შვილებს“

მხატვრული კითხვის კონკურსი

დოკუმენტური ფილმების ფესტივალი

ნორჩ ფოლკლორისტთა ფესტივალი

ვიქტორინა -ყველაზე საზრიანები

ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ბაღდათში, გორში.

14 აპრილი დედაენის დღე

მწვანე საფარის მცველები „დედამიწის დღესთან დაკავშირებით ნარგავების დარგვა

სპექტაკლის „იავნანამ რა ჰქმნა“ პრეზენტაცია კინო სახლში და სხვა ღონისძიებები.

2.4 საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა სწავლა გადამზადების პროგრამა.

3. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები(პროგრამული კოდი 05 00)

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული დამეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდება ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა;

2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- სასპორტო სკოლა;
- სპორტის განვითარების ცენტრი;
- საფეხბურთო კლუბი „ბახმარო 2009“
- გურიის მხარის ოლიმპიური კომიტეტი

3.1.1 სპორტის განვითარების ცენტრი (პროგრამის კოდი 05 01 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სპორტის განვითარების ცენტრი, რომელიც ემსახურება მომავალი თაობების პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას, მოეწყობა შეჯიბრებები :

- ნარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- ბილიარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- ფუტზალი - ჩოხატაურელი იუნკერების მაკარ ბურჭულაძის , აკაკი და გედეონ ხუნდაზეების სახელობის ტურნირი.
- ჭადრაკი - მუნიციპალიტეტის პირველობა და რეგიონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად მოჭადრაკეთა მივლინება.
- ბალახის ჰოკეი - 9 აპრილს დალუპულ ნატო გიორგაძისადმი მიძღვნილი ტურნირი.
- მაგიდის ჩოგბურთი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- ლელეო - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები ცხენოსნობაში, ლელობურთში, ბაგირის გადამალვაში და სხვა.
- ფეხბურთი - ვეტერან ფეხბურთელთა შეჯიბრი.
- მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში - რუსეთის აგრესიის შედეგად სამაჩაბლოში დალუპული ჩოხატაურელი მებრძოლების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.
- ტრადიციული დოღი და სხვა ღონისძიებები, კურორტ ბახმაროში ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით.
- აფხაზეთის ომში დალუპული ჩოხატაურელი მებრძოლების ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში.
- ბაზიერეობა - მუნიციპალიტეტის პირველობა და სხვა ღონისძიებები.

3.1.2 სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს ძიუდოს, ფეხბურთის, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, ბალახის ჰოკეის, კალათბურთის, რაგბის, ფრენბურთის ჭადრაკის სპორტულ წრეებს. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 9 სპორტული სახეობის 18 სექცია, სადაც გაერთიანებულია 285 მოსწავლე სპორტსმენი.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა „იმედო დუნდუას“, „ანდრო ჟორდანას“ და „ანზორ კვაჭაძის“ სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში გურია-აჭარის ზონაში, მოხდება ნოდარ ახალკაცის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობის მიღება, სასპორტო სკოლის რაგბის გუნდი მონაწილეობას მიიღებს დასავლეთ საქართველოს სარაგბო ფესტივალში 1998-1999, 2000-2001, 2002-2003 წელში დაბადებული მორაგბეებით, სადაც მონაწილეობს 36 გუნდი.

მიიღებს მონაწილეობას მძლეოსნობაში საქართველოს პირველობებზე რესპუბლიკურ ტურნირში. ახალჩამოყალიბებული საკალათბურთო ჯგუფი რომელიც მონაწილეობას იღებს საქართველოს პირველობის ტურნირში. საქადრაკო კლუბის აღსაზრდელები მიიღებენ მონაწილეობას საერთაშორისო და ადგილობრივ ტურნირებში.

სასპორტო სკოლის სპორტის ყველა სახეობისთვის მოხდება მოსწავლეთა და მწვრთნელთა სპორტული ფორმების შეძენა.

3.1.3 საფეხბურთო კლუბი „ბახმარო-2009“ (პროგრამის კოდი 05 01 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო კლუბი „ბახმარო-2009“ რომელიც მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში. დაარსების დღიდან გუნდში იგრძნობოდა სპორტული დონის ამაღლების ტენდენცია , გუნდმა მიაღწია გარკვეულ შედეგებს , კერძოდ 2009-2010 წლების გათამაშებაში მე-5 ადგილი, 2011-2012 წლების გათამაშებაში მე-4 ადგილი. 2013-2014-2015 წლებში მე-6 ადგილი. 2016 წელს მე-2 ადგილი.

გამომდინარე აქედან გუნდს გააჩნია სათამაშო კლასის ამაღლების პოტენციალი და მიზნად ისახავს გარკვეულ წინსვლას. მოხდება მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ამხანაგური მატჩების უფრო ხშირად ჩატარება.

3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი;
- მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 150-მდე მოსწავლე;
- სამხატვრო სკოლა, სადაც სწავლობს 100 -მდე მოსწავლე;
- ბიბლიოთეკები;
- მუზეუმები;
- სამხატვრო გალერეა;

3.2.1 ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ბიბლიოთეკის ქსელი.

განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- საშობაო ღონისძიება, შეხვედრა ხანდაზმულ ადამიანებთან.
